პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1947 წ. № 206 (7990). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

უდანაკარგოდ აპილოთ და გადავამუშაოთ ციგრუსოვანთა ნაყოფი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა მიიღო ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტ დეპუტატთა ჯგუფი (1-ლი გვერდი).
ვალდებულებათა შესრულება (1-ლი გვერდი).
ახალი გამარჯვებებით შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის — XXX წლისთავს (1-ლი გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეზეურალური ხანგამლეის მეორე სესია (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

უდანაკარგოდ აპილოთ და გადავამუშაოთ ციგრუსოვანთა ნაყოფი

კოლმეურნე გლეხობამ დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით იკისრა პირდაპირ წელს 15 პროცენტით გაადიდოს ციტრუსოვანთა მოსავალიანობა 1946 წელთან შედარებით და 1947 წელს სახელმწიფოს ჩააბარის სულ მცირე 600 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, აქედან 40 მილიონი ლიმონი და 20 მილიონი ფორთოხალი. სუბტროპიკული რაიონების შრომელებმა ეხერგიული მუშაობა გასწიეს ამ ვალდებულების კარნათლად შესრულებისათვის, თვალსაჩინოდ გააძლიერეს ციტრუსების ნარგაევების მოვლა-დამუშავება და ამით შეამზმნეს ყველა პირობა დიდი სტალინისათვის მიწერილ წერილში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ახლა სუბტროპიკული რაიონების მუშაკთა ფირსაბიაა და სახელის საქმეა უდანაკარგოდ აიღონ, დაახარისხონ და დანიშნულებისამებრ გაგზავნონ ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა დაიწყება. ჩვენი ქვეყნის გულის — მოსკოვის, გმირი ქალაქების ლენინგრადისა და სტალინგრადის მშრომელები დიდი ოქტომბრის 30-ე წლისთავზე სამუქრად მიიღებენ საქართველოდან ახალი მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფს.

მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მიმღები პუნქტები კარგად ემზადებიან ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადებისა და გადამუშავებისათვის. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის, შრომის ორჯონიკიძის სახელობის, თხინვალის ლენინიძის სახელობის კოლმეურნეობებმა კარგა ხანია მოიმზადეს საკუთარი კალათები, მაკრატლები, შეაკეთეს ძლაბტაციებში მასასელელი გზები; ამავე რაიონის ნატანების, ბერიის და მახარაძის შუამეფუთვე ქარხნებში წელს დამატებით ღებები თითო დამყალიბებელი მანქანა და შარშანდელთან შედარებით ნაყოფის გადამუშავების ტემპი სულ მცირე ერთნახევარჯერ მაინც გადიდდება.

მაგრამ ციტრუსოვანთა ნაყოფის უდანაკარგოდ კრეფა-დამზადების და გადამუშავებისათვის ჯერ კიდევ ყველაფერი რიდია რიგზე. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, დამამზადებელი ორგანიზაციები — საქართველოს კონსერვატრესტი, ცეკავშირი, აჭარკოოპკავშირი, ფეზაზეთის კოოპკავშირი და თვით საქართველოს ლიმმაწარეოსტიც არასაკმაო ყურადღებას აქცევენ ზოგიერთი მიმღები პუნქტის, შესაფუთი ქარხნებისა და საველიონების სეზონისათვის სრული მზაყოფნის საკითხს. მაგალითად, საქართველოს კონსეტრატრესტს სოხუმის შესაფუთი ქარხანა, რომელმაც წელს გეგმით 46 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა გადაამუშაოს, მზად არ არის. საველიონის რეშტები დაუმთავრებელია, სახუროვაზი წყალი ჩადის. ახალი შენობის მშენებლობა ნელი ტემპით სწარმოებს. სეროიზული დაავადება აქვს მიეცემული გაგრის შესაფუთი ქარხანას. წელს მან 24 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა გადაამუშაოს. მიუხედავად ამისა, ტარა-მასალა ღია ეცის ქვეშ ინახება და ფუჭდება სატარე ფარდულის შუაკეთილობის გამო. თუ ენერგიულ ზომებში არ იქნა მიღებული ლიმბერტესტის ფსიქრცის სამასთანა მეურნეობის ახლანდელი პაველიონის შეკეთებელად, იგი ვერ უზრუნველყოფს მიეცემელი დაავადების—15 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის დროულად გადამუშავებას.

ფრიად დიდი ამოცანებია დასახული აჭარის სსს რესპუბლიკის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე. აჭარა წელს სახელმწიფოს აძლევს 420 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს. ეს აჭარის მშრომელებისაგან, პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს დაძაბულ მეშაობას. მოწონავე ლოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგად ესმით მათს წინაშე დგომი ამოცანა და გაცხოველებით ემზადებიან ციტრუსოვანთა კრეფა-დამზადებისათვის. მაგრამ ზოგიერთი დამამზადებელი მუშაკი უდარდელობას იჩენს ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი. მაგალითად, აჭარკოოპკავშირის ბათუმისა და ქობულეთის ქარხნებში ჭიანურდება სატარე საწყობების შეკნებლობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტარისა და ტარა-მასალის საკმაო რაოდენობით მოპარაგებას. წელს აჭარას სჭირდება დაახლოებით 1.600.000 ცალი გასაზავნი და 400 ათასი ცალი სამუშაო ყუთი. მაგრამ არც საქართველოს კონსერვტრესტს, არც ცეკავშირის აჭარის დამამზადებელ კანტორას და არც აჭარის საბჭოთა მეურნეობებს დღემდე საკმაო რაოდენობით არ მოუპარაგებიათ ტარა-მასალა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის ამ მხრივ იფზაზეთის ზოგიერთ ქარხანასა და პაველიონში.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზარისხებელთა, ჩაშვნობთა და დამყალებელთა კადრების მომზადება. ბევრგან კადრებს, მეშახელს შეგრძვნებს მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. საქართველოს კონსერვტრესტს წელს სოხუმისა და გაგრის შესაფუთ ქარხნებში უნდა ჰყავდეს 632 კაცი. ქარხნები მთლიანად არ არიან მუშახელით დაკომპლექტებული.

შესაფუთი ქარხნებისა და პაველიონების მუშახელით, კადრებით დაკომპლექტების დარგში ყველაფერი არ არის გაკეთებული აჭარაშიც. საქართველოს კონსერვტრესტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კვალიფიკაციური მუშებით ქარხნებისა და პაველიონების დაკომპლექტებისათვის. დიდი მოვალეობა ეკისრებათ და ფაბრიკა-პაველიონებში მუდმივი კვალიფიკაციური კადრების შესაქმნელად ქარხნების პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. მათი მოვალეობაა განუწყვეტელ ეზრუნონ მუშათა საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დახარისხებისა და გადაგზავნის დროს დანაკარგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთელი ტექნიკური ბაზის—შესაფუთი ქარხნების, პაველიონების, მიმღები პუნქტების რემონტისა და ახლის მშენებლობის დროულად დამთავრება. საშენი მასალის მომპარვენი, ადგილობრივი რესურსების ფართოდ გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს მშენებლობის ტემპის გადაჭრით გაძლიერებას. ქარხნებისა და პაველიონების ხელმძღვანელებმა ამთავითვე უნდა ეზრუნონ აგრეთვე შესაფუთი მასალისა და ტარა-მასალის მოსამარაგებლად. ამასთან საჭიროა, რათა ყველა მეცტრესეე კოლმეურნეობამ დროზე მოიმარაგოს მაკრატლები, საკრეფი კალათები. მიმღები პუნქტების ხელმძღვანელები და სასოფელო საბჭოები ვალდებული არიან ეზრუნონ იმისათვის, რომ პუნქტებთან მისასვლელი გზები სან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

კანჭისყრის მანქანა კვლავ ამოქმედდა

როგორ იქნა მიღებული პოლიტიკურ კომიტეტში გადაწყვეტილება საბერძნეთის საკითხზე

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში საბერძნეთის საკითხზე რეზოლუციის მიღების გამო გაჩაღებულმა მწვავე პოლიტიკურმა ბრძოლამ მთელი სიცხადით დაგვანახვა, რომ ამერიკის დელეგაციის ცდები — და ჰქმნიან მოჩვენებით კომპრომისს, რასაც დაგინებით მოითხოვდა ბევრი დელეგაცია.

...

შთაბეჭდილება, გამოიყენეს უხეირო ფანდი: სცენაზე გამოიტანეს საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციების ეგრეთწოდებული „შესწორებები", რომლებიც არსებითად არ სცვლიან რეზოლუციის ამერიკული პროექტის შინაარსს წევრთა უმრავლესობა ვითომდა დარწმუნებულია იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის დანაშაულობაში.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ა. ი. ვიშინსკიმ დამსწრეთ მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს განზრახული კომისიის მუშაობაში და რომ ადგილი, რომელიც გუშინ სსრ კავშირისათვის დასტოვეს ამ კომისიაში, დაკავებული არ იქნება. იგი გადავიდა ამერიკის ბრალდებებზე, რომლებიც წაყენებულია იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიმართ, და იმაზე, თუ როგორ არის განმარტებული ეს ბრალდებები ინგლისისა და საფრანგეთის შესწორებებში.

— ჩვენ გვაქვს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ...

...ის, რაც სინამდვილეში არ არის, და სამაგიეროდ ჰპირდებიან ღვთის მოწყალებას. მზად არიან ამნისტია მოგცენ, ოღონდ დაჰპირდით, რომ თქვენ იქნებით კეთილი ბავშვები, რომ როგორც საბავშვო ბაღში, გაუგონებთ თქვენს აღმზრდელ ქალს, რომელიც ზოგჯერ ძალიან მკაცრია, ზოგჯერ კი ძალიან ალერსიანი, მაგრამ, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს თვითეულ თქვენს ნაბიჯს. ჩვენ დაგინებით გვირჩევენ, დაეთანხმეთ, მიიღეთ ასეთი წესი და ყველაფერი კარგად იქნება — ცხვრებიც მთლიანი დარჩებიან და მგლებიც — სწო...

...

ფაშისტური ტერორისაგან. გამომკვლევ კომისიას შესაძლებლობა ჰქონდა დაეთვალიერებინა ლტოლვილთა ბანაკები. მან იცის, რომ იუგოსლავიაში თავშესაფარი ჰპოვა 25 ათასმა ლტოლვილმა, ალბანეთში—20 ათასმა, ბულგარეთში — 10 ათასმა. რაღას მოითხოვთ ჩვენგან ბატონო დელბოს? თქვენ გსურთ, რომ ჩვენი საზღვრები მოვფინოთ ტყვიამფრქვევ...

ევატის გულახდილი აღიარება

ჩინეთის დელეგატმა ველინგტონ კუმ აზრი გამოსთქვა ინგლისის შესწორების პირველი ნაწილის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ იგი წინადადებას იძლევა მხოლოდ აღინიშნოს რეზოლუციაში, რომ გენერალური ასამბლეა „წინადადებას აძლევს ალბანეთს, ბულგარეთსა და იუგოსლავიას თავი შეიკავონ ბერძენი პარტიზანებისათვის დახმარებისა და მხარდაჭერის ყოველგვარი აქტისაგან".

...

და კერძოდ მიუთითა იმაზე, რომ დღემდე შესრულებული არ არის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ინდონეზიაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

დელბოსმა მესამედ აიღო სიტყვა და განაცხადა, რომ მას არ სურს დაუბრუნდეს წარსულს და გაიხსენოს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა, რომელსაც მისი მონაწილეობით ატარებდა საფრანგეთის მთავრობა. იგი ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, ვითომდა საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი კომისია სავსებით მიუკერძოებელი იყო.

კვლავ გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მწვავე ანალიზი გაუკეთა მთელ რიგ გამოსვლებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დღევანდელ სხდომაზე.

— ჯერ ერთი, ძინდა შევჩერდე დელბოსის გამოსვლაზე. შეიძლება, რასაკვირველია, გაუგო დელბოსს, რომელსაც უნდა აწუხებდეს...

ვიშინსკიმ დამსწრეთ მოაგონა პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე წარმოთქმულ მის სიტყვაში მოყვანილი განცხადება საბერძნეთში ამერიკის მისიის ყოფილი მეთაურის პორტერისა, რომ საბერძნეთში ბატონობს მებირჟეთა ხროვა, რომელიც თავის ანგარებით ფინანსურ ინტერესებს თავისი ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებს.

— თქვენ ეს გახსოვთ?—შეეკითხა ის საბერძნეთის დელეგატს.—იქნება თქვენ გსურთ, რომ ერთხელ კიდევ წაგიკითხოთ ეს? მე შემიძლია გავაკეთო ეს, მაგრამ ვაი თუ თქვენ საბოლოოდ დაჰკარგოთ წონასწორობა და თქვენმა ნერვულმა სისტემამ ვერ გაუძლოს ამ ციტატს (დარბაზში გამოცოცხლებაა). რატომ არ უარჰყოფთ იმასაც, რაც ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტ"-ში" სწერია,—მე ესეც წავიკითხე აქ,—საბერძნეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე და იმაზე, რომ „ამერიკის შეერთებუ-...

...

ჯონსონსა და დელბოსს სათქმელი არაფერი აქვთ

...რით, რომ იუგოსლავია, ბულგარეთი და ალბანეთი რაღაც მონაწილეობას იღებდნენ საბერძნეთის სამოქალაქო ომში, რაღაც დახმარებას უწევდნენ პარტიზანებს, ვინაიდან ამ დახმარების გაუწევლად ისინი ვერ შესძლებდნენ საზღვრის გადასვლას". როგორ შეიძლება ასეთი მსჯელობის საფუძველზე ბრალდება წარუდგინოთ იუგოსლავიას, ბულგარეთსა და ალბანეთს? თქვენ რომ მისულიყავით მომრი-... ცედ არიან დამტკიცებული ალბანეთის ქვეყნების დანაშაულში, არამედ ლაპარაკობენ მხოლოდ თავიანთ ვარაუდებზე. თქვენ ბევრნი ხართ. ჩვენ ცოტანი. თქვენ შეგიძლიათ გამოიტანოთ გადაწყვეტილება თქვენი შეხედულებისამებრ, მაგრამ სიმართლე ამით სახეს არ შეიცვლის. იგი შეიძლება მხოლოდ გაწითლდეს სირცხვილისაგან ყოველივე იმის გამო, რაც აქ ამ საკითხში ხდება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ბრწყინვალე, მშვენივრად დასაბუთებულმა და გონებამახვილმა სიტყვამ ვარაუდი ჩაუფუშა იმათ, ვინც ცდილობდა „შესწორების" სახით გაეთრია დაუსაბუთებელი ბრალდებები საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების მიმართ. ჯონსონმა და დელბოსმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს სიტყვა, მაგრამ მათ ვერაფერი ... უხეშ ცილისწამებას საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების მიმართ და განაცხადა, თითქოს საბერძნეთის არმია შეადგენს... ბულგარეთისა და იუგოსლავიის საიდუმლო პოლიციისა და ჟანდარმერიის ერთ მეათედზე ნაკლებს.

დელბოსმა განაცხადა, რომ იგი საბერძნეთის ჩრდილოეთელ მეზობლებს „არ დაჰპირება ...

...გუშინდელი კენჭისყრის მნიშვნელობა, რომლის შედეგად დელეგატების ნახევარმა უარი სთქვა მხარი დაეჭირა ამერიკის ბრალდებებისათვის. მან განაცხადა, რომ ეს კენჭისყრა საპროცედურო იყო. „მე არ მრცხვენია, რომ ჩატარებული კამათის შედეგად საფრანგეთის შესწორება ჩვენთვის მისაღები გახდა", — სთქვა ჯონსონმა. დასასრულ იგი არ მოერიდა ...ებში. ... წოდა კომიტეტის წევრებს „თვალი მიაპყრონ მომავალს" და უარი სთქვან წარსულის შეფასებაზე. ამან მას ხელი ვერ შეუშალა დაჟინებით მოეთხოვა ინგლის-საფრანგეთის შესწორების მიღება, რომელიც არსებითად იმეორებს, თუმცა შენიღბული სახით, ამერიკის ბრალდებებს.

ვის სჭირდება „სადარაჯო ქოფაკი" ბალკანეთში?

ამ უსუსური სიტყვების მკვეთრ კონტრასტად გაისმოდა იმ დელეგატების სიტყვები, რომლებმაც დამაჯერებლად ცხადჰყვეს, რომ ამერიკის დელეგაციის მიერ საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ინგლის-ამერიკის ბლოკს დასჭირდა იმისათვის, რომ გაემართლებინა ბალკანეთის კომისიის შექმნა.

იუგოსლავიის დელეგატმა ბებლერმა გაიხსენა, რომ ამერიკის წარმომადგენელმა გამომ-...

...

სხვა ნივთად გადააქცევენ. მაგრამ ამას აკეთებენ მხოლოდ მეფოკუსეები და პრესტიდიჟიტატორები. იქ კი, სადაც საქმე სახელმწიფოების ...

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

(გაგრძელება)

…ლა და ღირსებას შეეხება, ფოკუსებსა და …ტიდიქტატორობას საქმის შველა არ შეუ… და ვერც უშველის. დასკვნა ასეთია: ინგ… საფრანგეთის შესწორება უარყოფილ უნდა … მასთან ერთად უარყოფილ უნდა იქნას …ის წინადადებანიც, რომლებიც დაუსაბუთებელ ბრალდებებს შეიცავენ იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის წინააღმდეგ. ინგლის - საფრანგეთის შესწორებას ფარულად, მორცხვად გაჰყავს ეს ბრალდებანი, რომ მეტი ხმა დააგროვოს. ეს მანევრია, მაგრამ იგი ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

ბრიტანეთის დელეგატის მორიგი მანევრი

…ისა ინგლის-საფრანგეთის შესწორებისა …ერიკის წინადადებათა გამო გაპიანურდა. …ცოტად თუ ბევრად არსებითი არგუმენ-… არ გააჩნდათ ამ წინადადებათა დასაცავად, …კის შეერთებული შტატების, დიდი ბრი-…ისა და საფრანგეთის დელეგატებმა ვერ …რწყლეს სსრ კავშირისა და ზოგიერთი სხვა …ების დელეგაციის გამოსვლები, რომლებ-… გამოააშკარავეს იმათი ნამდვილი მოტივები, … დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებს სა-…ეთის ჩრდილოეთელ მეზობლებს.

…ითარებაში ბრიტანეთის დელეგატმა მაკ-… ახალ მანევრს მიმართა და განაცხადა, …ის იუგოსლავიის მთავრობას ეშინია ბალ-…ის კომისიის შექმნისა. მან იქვე განაცხა-… „ჩემის აზრით, დელეგაციები, რომლებიც …ისურვებენ ხმა მისცენ ამერიკის რეზო-…ის ამ ნაწილსა და ჩვენს შესწორებას, …რს ჩასცემენ გაერთიანებული ერების ორ-…აციის პრესტიჟს და არ გაამართლებენ …ნდობას, ვინც ისინი აქ გამოგზავნა". ეს …ები აშკარად მიმართული იყო იმ დე-…ებისადმი, რომელთაც არ სურდათ მხარი …ართ ამერიკის ბრალდებებისათვის და გუ-… კენჭისყრაში თავი შეიკავეს ან სულ არ …ღეს მონაწილეობა.

…ელის ამ გამოსვლის გამო საბჭოთა დე-…აციის მეთაურმა ვიშინსკიმ მოკლე რეპლი-… შენიშნა:

— ვერ მიმხვდარვარ, მაკნეილმა ასე უეც-… კვლავ რატომ დაიწყო ლაპარაკი კომისიის …ზე? განა ის ფიქრობს დააყენოს ამ კო-…ის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების …ების საკითხი? ამ შემთხვევაში ჩვენ მას … დავუჯერდით. იგი გვეუბნება, რომ ამ …ისა არ უნდა გვეშინოდეს, რომ ეს ძა-… კარგი კომისიაა, რომ მას არც ტყვია-…ქვეი აქვს, არც ჯარები ჰყავს. მაგრამ ბა-… მაკნეილს ავიწყდება, რომ თვითონ მას …ბნეთში ჰყავს შეიარაღებული ძალები და …ის პირველ პირობას, რომ რაიმე კომი-… შესძლოს ობიექტური მოქმედება, წარ-…ეს საბერძნეთიდან ინგლისის ჯარების …ა. ეს მაკნეილს მანამდე უნდა გახსენებო-…ნამ დემაგოგიურ მსჯელობას დაიწყებდა … შესახებ, რომ ვისაც კომისია არ სურს, …დამე, ამ კომისიის ეშინია. სიმართლე, … მოგახსენოთ,—კომისიისა არავის ეშინია; …ამ მე ვიცი, რომ უნდა გვეშინოდეს ინგლი-… შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც …ად საბერძნეთში იმყოფებიან და ამ კომი-… ზურგში იქნებიან.

…გოსლავიის დელეგატმა ბებლერმა განაც-…, რომ იუგოსლავიას, რასაკვირველია, კო-…ს არ ეშინია. „უფრო მეტი რამ არის საში-… ჩვენს დასაშინებლადო,—სთქვა მან.—ჩვენ …ანიის ტანკებმა და თვითმფრინავებმა ვერ …შინეს ომში, და ვერც კომისია დაგვაში-… მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რომ პირველი გა-…ლევი კომისია, რომელიც ჩვენს ტერიტო-… შემოვუშვით, მიკერძოებულად მოქმედებ-…ევთვალისწინებთ რა ამ გამოცდილებას, … ახალი კომისიის შექმნის წინააღმდეგი …".

…ლერმა დამსწრეთ მოაგონა, რომ თავის …ზე მაკნეილი კატეგორიულად ეწინააღმდე-… იმას, რომ საერთაშორისო კომისია გა-…ით ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში იმის …მოწმებლად, თუ რა მდგომარეობა იყო ად-…დაპატიმრებულ პირთა ბანაკებში. „მაშ, …რატომ მოითხოვს მაკნეილი, რომ ჩვენ და-…მოვეთ კომისიის მიღებაზე?"—იკითხა მან.

…ვის დასასრულ გამოსვლამ ბულგარეთის …გატმა ძევროვმა დააყენა საკითხი იმ მეთო-…ის შესახებ, რომლებსაც პოლიტიკურ კომი-…ში იყენებენ საბერძნეთის საკითხის გან-…ის დროს. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური …ტეტის წევრთა უმრავლესობამ არსებითად … სთქვა გამომკვლევი კომისიის მოხსენების …ლურ განხილვაზე და ენდო კომისიის წევ-…ის ჯგუფის დასკვნებს, რომელმაც შეად-… ამერიკის პოლიტიკის მოთხოვნების შესა-…ი ტენდენციური დასკვნა. „ეს იმას უდ-…, რომ ბულგარეთს უარი უთხრან მართლ-…ულებაზე",—სთქვა ძევროვმა. ბულგარეთის …გატმა ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით, … საბერძნეთის საკითხის განხილვის პრო-…ში დამტკიცებულ იქნა ბულგარეთისათვის …ებულ ბრალდებათა სრული უსაფუძვლო-… ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამომკვლევმა …მა დაიმოწმა ერთადერთი ფაქტი, რომ …ნეთ-ბულგარეთის საზღვარი გადალახა …რძენმა პარტიზანმა, ამასთან არც ეს ფაქ-…უფილა დადასტურებული დამაჯერებელი …ებით. დასასრულ ბულგარეთის დელე-… განაცხადა, რომ ბალკანეთში მშვიდობის …ულ საფრთხეს წარმოადგენს ამერიკის …ებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის … საბერძნეთის საქმეებში, კერძოდ, ინგ-… ჯარების ყოფნა საბერძნეთის ტერიტო-…ზე.

…ომაზე გამოვიდა აგრეთვე პოლონეთის …გატი, რომელმაც ცხადჰყო ამერიკის წი-…ებათა უსაფუძვლობა, რომლებიც შეიცა-… ბრალდებას საბერძნეთის ჩრდილოეთელ მე-…ლთა მიმართ, და პარაგვაის დელეგატი, …მაც ავტომატურად დაუჭირა მხარი ამე-… ბრალდებებს.

… საათზე მეტი ხნის დისკუსიის შემდეგ …ტიკური კომიტეტი შეუდგა ინგლის-საფ-…ეთის შესწორებისა და ამერიკის წინადა-…ათა კენჭისყრას. მიუხედავად იმისა, რომ …ლის პროცესში სავსებით დამტკიცდა ამ წინადადებათა უსაფუძვლობა, კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ მაინც გაბედა და აშკარად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. მაგრამ დელეგაციათა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ძლიერი გავლენის მიუხედავად, უარი სთქვა ამ წინადადებათა მხარდაჭერაზე.

ინგლის-საფრანგეთის შესწორების პირველ ნაწილს ხმა მისცა 32 დელეგაციამ. სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩეხოსლოვაკიის, ისლანდიის, პოლონეთის, იუგოსლავიის დელეგაციებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, 13 დელეგაციამ თავი შეიკავა, 5 დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. ამ შესწორების მეორე ნაწილს ხმა მისცა 34 დელეგაციამ. წინააღმდეგ ხმა მისცა იმავე 7 დელეგაციამ, 11 დელეგაციამ თავი შეიკავა, 5 დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

შემდეგ კენჭი უყარეს ამერიკის რეზოლუციას მთლიანად. მას ხმა მისცა 36 დელეგაციამ. სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის დელეგაციებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, 10 დელეგაციამ თავი შეიკავა, 5 დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამრიგად, ამერიკის წინადადებათა განხილვის პროცესი და კენჭისყრის შედეგი ცხადჰყოფენ, რომ ამერიკის დელეგაცია კვლავ ჯიუტურ მიდის და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ეგოისტური პოლიტიკის იარაღად გადააქციოს. მაგრამ საბჭოთა დელეგაციის თანმიმდევრული და შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით, საბჭოთა დელეგაციისა, რომელიც იცავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს და ამხილებს იმათ მანევრებს, ვინც ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დელეგატთა მნიშვნელოვანი ჯგუფი უარს ამბობს მხარი დაუჭიროს ამ ხაზს.

ამერიკის დელეგაცია, რომელიც დიდ ხანს დაჟინებით მოითხოვდა, რომ გენერალურ ასამბლეას საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლები დამნაშავედ გამოეცხადებინა საბერძნეთის საქმეებში ჩარევაში, იძულებული გახდა „ხმა დაეწია", როგორც დღევანდელი სხდომის ანგარიშში განაცხადა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა". საგულისხმოა აგრეთვე, რომ კუბის დელეგაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამქაშის როლს ასრულებდა და რომელმაც წამოაყენა რეზოლუციის ყველაზე უტიფარი პროექტი, რაც ითვალისწინებს, რომ ბალკანეთის კომისიის ფუნქციებში რუმინეთის, უნგრეთისა და პოლონეთის საშინაო მდგომარეობის გამოკვლევაც კი შევიდეს, დღეს იძულებული გახდა მოეხსნა ეს პროექტი.

ამერიკის თავდაპირველი რეზოლუციით გენერალურ ასამბლეას წინადადება ეძლეოდა გამორკვეულად მიეჩნია, რომ ალბანეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, დახმარებას და მხარდაჭერას უწევენ ბერძენ პარტიზანებს. ახლა კი ამერიკის დელეგაციამ უარი სთქვა ამ წინადადებაზე. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა ცხადჰყვეს ამერიკის ბრალდებათა სრული უსაფუძვლობა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ შესაძლოდ ვერ მიიჩნია კვლავ მხარი დაეჭირა თავისი დაუსაბუთებელი ბრალდებებისათვის წინანდელი სახით. პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციის პროექტში მხოლოდ ის ფაქტია აღნიშნული, რომ გამომკვლევი კომისიის უმრავლესობა „იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ალბანეთი, ბულგარეთი და იუგოსლავია დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდნენ პარტიზანებს". ამრიგად, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიმართ ბრალდების პასუხისმგებლობას გამომკვლევი კომისიის უმრავლესობას აკისრებენ.

საგულისხმოა, რომ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" ასეთი დიდი სათაურით აქვეყნებს დღევანდელი სხდომის ანგარიშს: „ბალკანეთის ქვეყნების დამნაშავეობაში ბრალდება უარყოფილია". გაზეთის ცნობის ტექსტში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია შერბილდა. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" სწერს: „მიღებული შესწორება პირდაპირ აღნიშნავს, რომ გამომკვლევი კომისიის უმრავლესობამ დამნაშავედ აღიარა სამი ქვეყანა".

უნდა აღინიშნოს, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსი" და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" სულ არ უთმობენ ადგილს სლავთა დელეგაციების გამოსვლებს, და, კერძოდ, ამხანაგ ვიშინსკის გამოსვლას. მათ ძალიან შემოკლებულად და შეკვეცილად გამოაქვეყნეს დღევანდელი სხდომის ანგარიშები, ამასთან „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა" 43-ე გვერდზე დაბეჭდა თავისი მოკლე ანგარიში.

ის ფაქტი, რომ დღესაც კი 21 დელეგაციამ უარი სთქვა მხარი დაეჭირა ამერიკის რეზოლუციისათვის მთლიანად, საკმაოდ მოწმობს, თუ რაოდენ არამტკიცეა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვითომდა გამარჯვება, რომელსაც დღეს სამართლიანად უწოდეს პიროსის გამარჯვება. გამოდის რა გენერალური ასამბლეის ტრიბუნაზე, საბჭოთა დელეგაცია ააშკარავებს და კვლავაც გამოააშკარავებს ამერიკის მსოფლიო ბატონობის ზოდვითი იდეის იმ ქომაგთა მანევრებს, რომელნიც ცდილობენ სახელმწიფო დეპარტამენტის ფილიალად გადააქციონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საბჭოთა დელეგაციის ხმა მთელ მსოფლიოში გაისმის.

…კუსია ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების გამო

…2 (ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა) …ტეტში გრძელდება საერთო დისკუსია. გა-…ების უმრავლესობა არ ეხება პრინციპ-… საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელო-… მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკი-…. სამაგიეროდ საკმაოდ ბევრია იმის ცდა, …ლიცვან ამერიკის ჩარევა ზოგიერთი ქვეყ-… საქმეებში „დახმარების" საბაბით. მაგალი-…, თურქეთის დელეგატმა თავის სიტყვაში … დაუჯერებინა კომიტეტი, რომ ამერიკის …ერო მისიებსა და საჭურველს, რაც ამე-… შეერთებული შტატებიდან თურქეთს …ენება, თურქეთის მოსახლეობა „მადლო-…ღებს და რომ ამერიკის სამხედრო ბაზად …ქეთის გადაქცევა „არ ემუქრება მის პო-…ურ დამოუკიდებლობას".

…ელ რიგ ქვეყნებში ამერიკის ეკონომიური …ვენციის საკითხს გულმოდგინედ აუარა …ლი ამერიკის დელეგატმა ტორპმა. თავის …ვაში მას კრინტიც არ დაუძრავს დისკუ-… პროცესში წამოყენებულ იმ სამართლიან …ებათა გამო, რომ ამერიკის შეერთებუ-… შტატები, ცდილობენ რა თავიანთი ცალ-… ეკონომიური კომბინაციები გაატარონ დასავლეთ ევროპაში, მოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით და არღვევენ მისი წესდების პრინციპებს. ტორპი იცავდა ეგრეთწოდებულ „მარშალის გეგმას" და არწმუნებდა კომიტეტის წევრებს, რომ „ამერიკის დახმარება", რასაც ზოგიერთ ქვეყანას უწევენ, თითქოს უანგაროა. ამერიკის დელეგატმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უპირატესობას ანიჭებს გერმანიის ეკონომიურ აღდგენას ევროპის სხვა ქვეყნების აღდგენის წინაშე. ეს მან იმით დაასაბუთა, რომ გერმანიის წარმოების დონის ამაღლება საჭიროა მთელი ევროპის ეკონომიური აღდგენისათვის. ტორპმა უარი თქვა ეპასუხნა იუგოსლავიის მოთხოვნაზე, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკის მთავრობას დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ოქრო, რაც თავის დროზე შესანახავად გადასცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ტორპის სიტყვით, ეს საკითხი „დღის წესრიგში არ დგას".

ლათინური ამერიკის ქვეყნების და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დელეგატები თავის გამოსვლებში შეეხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური ეკონომიური ორგანოების მუშაობას.

თანასწორობისა და ნაციონალურ ინტერესთა ურთიერთ-პატივისცემის საფუძვლებზე ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის

კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ა. არუთინიანმა. საბჭოთა დელეგატმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო, ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ ახლო მომავალში აღდგენილ იქნას აგრესიის ორი ძირითადი წყაროს—გერმანიისა და იაპონიის ეკონომიური პოტენციალი, შენარჩუნებულ იქნას კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობა და ისინი დაექვემდებარონ იმპერიალისტური მონოპოლიების ინტერესებს.

საბჭოთა დელეგატი შეეხო აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ რაიონების ჩაგრული ხალხები ებრძოდნენ და ახლაც ეწევიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას კოლონიზატორ სახელმწიფოთა წინააღმდეგ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარებისათვის. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ ომის შემდეგ მათი ქვეყნების აღდგენა მიმდინარეობდეს ისეთი გზით, რომელიც შეესაბამება ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებს და არა იმ კოლონიური სახელმწიფოების ინტერესებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სძარცვავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ აზიის ხალხებს.

„თითქმის ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც შორეულ აღმოსავლეთში ომი დამთავრდა,—სთქვა მან,—მაგრამ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომლებიც ომმა გაალატაკა, არ მიუღიათ საჭირო დახმარება მათი ეკონომიკის აღდგენაში. უფრო მეტიც, ჰოლანდია ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერით ომს ეწევა ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. რეაქციული ძალები გაფაციცებით მუშაობენ, რომ აღადგინონ იაპონიის სამრეწველო ძლიერება. შორეულ აღმოსავლეთში იგივე ხდება, რაც ევროპაში, სადაც მარშალის გეგმით სურთ აღადგინონ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი".

იაპონიის მრეწველობის აღდგენის იდეა, განაგრძო ა. არუთინიანმა, ამერიკული გეგმით ნიშნავს შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალიზმის ეკონომიური ბაზის აღდგენას ამერიკის ხელმძღვანელობით. აზიისა და შორეული აღმოსავლეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხები ვერ შეურიგდებიან ასეთ მდგომარეობას და მათ სურთ საკუთარ ხელში აიღონ თავიანთი ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საქმე, ამასთან ჯეროვან დახმარებას მოელიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან.

საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ აზიის ბევრი ქვეყნის დატოვება აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი ეკონომიური კომისიის ფარგლების გარეთ, ისევე როგორც საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არათვითმმართველ ტერიტორიებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ამ კომისიასთან მხოლოდ მისი წევრების მეშვეობით, რომლებიც „პასუხისმგებელი არიან ამ ტერიტორიების საერთაშორისო ურთიერთობისათვის", ეწინააღმდეგება აზიის ხალხთა ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგატმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ამ კომისიის შემადგენლობაში აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ყველა იმ ქვეყნის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების შეყვანას, რომლებიც ამ კომისიაში არ შესულან და რომელიმე არსებულ რეგიონალურ ეკონომიურ კომისიაში არ შედიან.

რეზოლუცია აგრეთვე ითვალისწინებს, რომ საკონსულტაციოდ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის არათვითმმართველი ტერიტორიების მიწვევის საკითხს გადასწყვეტს კომისია ამ ტერიტორიების განცხადებათა საფუძველზე.

შემდეგ საბჭოთა დელეგატმა გააკრიტიკა ეკონომიური და სოციალური საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც გერმანიის შესაძლო საგარეო ეკონომიური ურთიერთობის დადგენილი წესის დარღვევის შესაძლებლობას იძლევა. „არსებობს გერმანიის მმართველობის გარკვეული, მოკავშირე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებული მექანიზმი,—სთქვა მან.—ეს წესი ითვალისწინებს, რომ გერმანიის საგარეო ურთიერთობას ადგენს და განსაზღვრავს გერმანიის საკონტროლო საბჭო და არა სეპარატულად ცალკეული ზონების საოკუპაციო ხელისუფალნი". მიუხედავად ამისა, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ევროპისათვის შექმნილმა ეკონომიურმა კომისიამ დაიწყო დამოუკიდებელი ურთიერთობის დამყარება გერმანიის ოკუპაციის ცალკეული ზონების მთავარსარდლებთან. ასეთი ხაზი ფაქტიურად ხელს უწყობს გერმანიის დაყოფას, იგი მიმართულია არ არის იქითკენ, რომ გერმანია განხილულ იქნას როგორც მთლიანი ეკონომიური ერთეული. „საბჭოთა კავშირის დელეგაცია,—განაგრძო საბჭოთა დელეგატმა,—წინააღმდეგია ეკონომიური და სოციალური საბჭოს გადაწყვეტილებისა, რომელიც სანქციას აძლევს ევროპისათვის შექმნილი ეკონომიური კომისიის უშუალო ურთიერთობის უკანონოდ დამყარებას გერმანიის ოკუპაციის ცალკეული ზონების სარდლებთან, რამდენადაც ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება შეთანხმებას საკონტროლო მექანიზმის შესახებ და ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებას გერმანიის, როგორც მთლიანი ეკონომიური ერთეულის, შესახებ. ამ კომისიას შეუძლია ურთიერთობა ჰქონდეს მხოლოდ მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოსთან გერმანიაში, როგორც ერთადერთ უმაღლეს ორგანოსთან, რომელსაც უფლება აქვს აწარმოოს გერმანიის საგარეო პოლიტიკური საქმეები".

ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობები სსრ კავშირისა და ნაწილობრივ საფრანგეთისაგან სეპარატულად სწყვეტენ მთელ რიგ ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც მთელ გერმანიას ეხება, და ამით არღვევენ ბერლინის გადაწყვეტილებას გერმანიის შესახებ. ამერიკის მთავრობა სარგებლობს დიდი ბრიტანეთის ფინანსური სიძნელეებით და თანდათანობით იგდებს ხელთ ეკონომიკის ხელმძღვანელობას ოკუპაციის ბრიტანულ ზონაშიც. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით უარი სთქვა რურის მრეწველობის სოციალიზაციისა ან ნაციონალიზაციის თავის პროგრამაზე.

ამერიკის მთავრობა აპირებს რურის გადაქცევას თავისი გეგმების განხორციელების ბაზად ევროპაში მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესების საზიანოდ, თვით გერმანელი ხალხის ინტერესების საზიანოდ. ამერიკის პრესა ამას წინათ იუწყებოდა, რომ ამერიკის ერთ-ერთი მონოპოლიის — „ჯონს მენვილ კორპორეიშენის" ხელმძღვანელმა ბრაუნმა ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა დავალებით უკვე შეადგინა დასავლეთი გერმანიის ეკონომიკის განვითარების „გეგმა". ეს „გეგმა" ითვალისწინებს გერმანიის განთავისუფლებას რეპარაციების გადახდისაგან, მისთვის სესხების მიცემას, დასავლეთ გერმანიისათვის ფულის ახალი სისტემის შემოღებას და ოკუპაციის სამი დასავლეთი ზონისაგან თავისი ცენტრალური მთავრობის მქონე სეპარატული სახელმწიფოს შექმნას.

საბჭოთა დელეგატი შეეხო ტორპის განცხადებას იმის შესახებ, რომ გერმანიის მრეწველობის შეუზღუდველი აღდგენის ამერიკული პროგრამა „შიშს არ უნდა იწვევდეს", და სთქვა: „შესაძლოა ვისმე არ აშფოთებს გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღორძინება, მაგრამ ევროპის ხალხები, რომლებმაც თვითონ განიცადეს, თუ რას ნიშნავს გერმანიის პოტენციალის აღორძინება, ამას ვერ დაუშვებენ". „ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ და ევროპისათვის შექმნილმა ეკონომიურმა კომისიამ ხელი არ უნდა შეუწყონ ასეთ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირს, როგორც მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოში წარმოდგენილ ერთ-ერთ ოთხ სახელმწიფოთაგანს, არ შეუძლია სცნოს ეკონომიური და სოციალური საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ფაქტიურად მხარს უჭერენ ცალკე ზონების საოკუპაციო ხელისუფალთა ცალმხრივ მოქმედებას იმ საკითხებში, რომლებიც ერთად უნდა გადასწყვიტოს ოთხმა სახელმწიფომ—სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა".

არუთინიანი გადავიდა ომისაგან დაზარალებული ქვეყნებისათვის ომისშემდგომი ეკონომიური დახმარების საკითხზე და აღნიშნა, რომ შესრულებული არ არის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ეს დახმარება გამოყენებულ არ უნდა იქნას როგორც პოლიტიკური იარაღი. აშკარა პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო დახმარებაზე უარი უთხრეს პოლონეთს, იუგოსლავიასა და უნგრეთს. „დახმარების" დაპირებას იღებენ მხოლოდ ისინი, ვინც თანხმდება სუვერენული სახელმწიფოსათვის დამამცირებელ და მიუღებელ პირობებს. დიდი ბრიტანეთის მიმართაც კი ამერიკის სესხის მისაცემად დათქმულ იქნა ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, რომ ინგლისის კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა მოღვაწემ ობრი ჯონსმა განაცხადა, „ქვეყნის (დიდი ბრიტანეთის) აღდგენა დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე ხელის აღებისაგან, რომელსაც უკანასკნელი წლების მანძილზე ამერიკა თავს გვახვევს".

საბჭოთა დელეგატმა შემდეგ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მთავრობის დამოკიდებულება „მარშალის გეგმისადმი" და იმ ღონისძიებებისადმი, რომლებსაც ინგლისის, საფრანგეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობები ამ „გეგმასთან" დაკავშირებით ატარებენ, ამომწურავი სიცხადით ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის მიერ პარიზში 2 ივლისს გაკეთებულ განცხადებაში და ა. ი. ვიშინსკის მიერ გენერალური ასამბლეის ამა წლის 18 სექტემბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

კომიტეტის სხდომაზე „მარშალის გეგმის" დამცველებმა ვერ მოიყვანეს რამდენადმე დამაჯერებელი არგუმენტები და დასჯერდნენ იმ პასუხისმგებლობის მხოლოდ ლიტონ უარყოფას, რომელიც მათ ქვეყნებს აკისრებათ ქვეყნებს შორის ურთიერთობის იმ ახალ სიძნელეთათვის, რომლებსაც „მარშალის გეგმა" წარმოშობს.

საბჭოთა დელეგატმა უპასუხა ზოგიერთი დელეგატის განცხადებას იმის შესახებ, რომ მარშალის პროგრამა თითქოს პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდეს, და მოიყვანა ამერიკული გაზეთების მიერ გამოთქმული აზრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ბევრი ამერიკელი მოღვაწე აღიარებს ამ „გეგმის" პოლიტიკურ ხასიათს. „მარშალის გეგმამ",—სთქვა მან, — უკანასკნელ თვეებში უკვე გაამწვავა საერთაშორისო ურთიერთობა. მან გაამწვავა პოლიტიკური ურთიერთობაც დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს შიგნით". საბჭოთა დელეგატმა კომიტეტს გაახსენა, რომ ცნობილმა ინგლისელმა ლეიბორისტმა ჰაროლდ ლასკიმ ამ ცოტა ხნის წინათ პირდაპირ აღნიშნა, რომ ამერიკის პოლიტიკა მიმართულია ევროპის ქვეყნებში ნაციონალური ერთიანობის გასათიშავად. შეიძლება დავძინოთ, რომ „მარშალის გეგმა" ამერიკის პოლიტიკის ის იარაღია, რომელიც იმისთვის არის ნავარაუდევი, რომ შიგნიდან ააფეთქოს დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ერთიანობა, გააჩაღოს შინაგანი უთანხმოება და ბრძოლა ამ ქვეყნებში და შექმნას კრიზისები, რათა ისარგებლოს ამ კრიზისებით იმისათვის, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის მონოპოლიების ინტერესებს დაუმორჩილოს. ეს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური და პოლიტიკური ექსპანსიის საერთო გეგმის ნაწილია. „ამერიკელი კრედიტორები,—სთქვა შემდეგ არუთინიანმა,— განიხილავენ ევროპას როგორც გადატაკებულ ფირმას, რომელსაც გაკოტრება მოელის".

ზოგიერთ ქვეყნებს კრედიტებს რომ აძლევენ, ისინი მათგან მოითხოვენ „თანამშრომლობას", რომელსაც არსებითად საერთო არა აქვს რა თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების ნამდვილ თანამშრომლობასთან. მოითხოვენ კრედიტების გამოყენების კონტროლს, ეკონომიური განვითარების პირობების კარნახის უფლებას, საგარეო ვაჭრობის რეგულირების უფლებას და სხვ., თუ აღარას ვიტყვით იმ პოლიტიკურ მოთხოვნებზე, რომ აღიარებულ იქნას „მსოფლიო ხელმძღვანელობა" შეერთებული შტატების მხრივ". საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ არავითარი დახმარება „მარშალის გეგმის" საფუძველზე. ისიც კი არ არის ნათელი, არის თუ არა ამ დახმარების რაიმე პერსპექტივები, მაგრამ „მარშალის გეგმამ" უკვე გვიჩვენა თავი, როგორც მშვიდობის საქმისათვის მავნე პოლიტიკურმა მანევრმა.

საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა ის ზეგავლენა, რასაც ამერიკის მთავრობა ახდენდა პარიზში ყბადაღებულ „16-ის გეგმის" შემდგენლებზე, და სთქვა, რომ ამერიკის წარმომადგენლებმა მათ უკარნახა მთელი რიგი პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ სატარიფო ბარიერების შემცირებას, სავალუტო საზღვრების მოსპობას, ფულის რეფორმის გატარებას. „ეს პირობები, — სთქვა მან,—იქითკენ არის მიმართული, რომ დასავლეთ ევროპაში შეიქმნას უფრო მეტი შესაძლებლობანი ამერიკის საქონლისა და კაპიტალების შესაჭრელად ამ რაიონებში და ამასთან ერთად ამერიკის პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად ევროპის ქვეყნების ნაციონალური ინტერესების საზიანოდ".

საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკის მსხვილი კაპიტალის შეჭრის ერთ-ერთი მიზანია ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით შეკოწიწოს საბჭოთა კავშირისადმი და ევროპის სხვა დემოკრატიული სახელმწიფოებისადმი მტრული ბლოკი. ასეთი პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღებასთან ერთად, მეტად საზიანოა ევროპისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიური განვითარების საქმისათვის. ყველამ, ვისაც ხალხთა შორის ნამდვილი ეკონომიური თანამშრომლობა სურს, უნდა დაგმოს ასეთი პოლიტიკა. „ტრუმენის დოქტრინამ" და „მარშალის გეგმამ", რომელიც ამ დოქტრინის კონკრეტულ განხორციელებას წარმოადგენს, გააუარესეს მსოფლიოს ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შესაძლებლობანი.

საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის მიერ ამა წლის 2 ივლისს პარიზში გაკეთებული განცხადებით გააფრთხილა ყველა, თუ რა საზიანო და საშიშია ამ პოლიტიკის შედეგები. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის თანმიმდევრული მომხრეა, ისეთი თანამშრომლობისა, რომელიც დამყარებულია თანასწორუფლებიანობაზე, ქვეყნების ურთიერთი ინტერესების მხედველობაში მიღებასა და მათი სუვერენიტეტის პატივისცემაზე. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირზე პარიზში სთქვა: „საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ევროპის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ ინტერესთა ურთიერთ პატივისცემის ჯანსაღ საფუძველზე და თვითონ მუდამ ხელს უწყობდა და კვლავაც შეუწყობს ხელს ამას სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის გაფართოების გზით".

გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

კოლონიზატორები მარცხს განიცდიან

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საქტასის სპეც. კორ.). № 4 კომიტეტში (მეურვეობის საკითხებზე) გუშინ დამთავრდა არათვითმმართველი ტერიტორიების სპეციალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისა და რეზოლუციის განხილვა.

კომიტეტმა განიხილა ხუთი სხვადასხვა რეზოლუცია, რომლებიც შეეხება არათვითმმართველ ტერიტორიებს: 1) ამ ტერიტორიებზე უფრო სრული ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ, რომელიც შეესაბამება ამჟამად იქ არსებულ მდგომარეობას; 2) დამატებითი დოკუმენტაციის შესახებ, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს გენერალურმა მდივანმა; 3) ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის თაობაზე; 4) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებების თანამშრომლობის შესახებ; 5) არათვითმმართველ ტერიტორიებზე ინფორმაციის შესწავლისათვის მუდმივი კომიტეტის შექმნის შესახებ.

პირველი და მეოთხე რეზოლუცია დამტკიცებულ იქნა განუხილველად იმ სახით, როგორითაც ისინი წარმოადგინა სპეციალურმა კომიტეტმა. მაგრამ დანარჩენი სამი რეზოლუციის გარშემო კომიტეტში გაჩაღდა ხანგრძლივი დისკუსია, რომელმაც ცხადჰყო კოლონიზატორული პოლიტიკის გაკოტრება. ამ დისკუსიის მსვლელობაში უაღრესად ნათელი გახდა, რომ კოლონიურ სახელმწიფოებს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, სურდათ უზრუნველეყოთ თავისათვის მოქმედების თავისუფლება მათ მმართველობაში მყოფი ტერიტორიების მიმართ. ისინი მთელი ძალღონით ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ყოველი წინადადებისათვის, რომელიც ასე თუ ისე შუქს მოჰფენდა მათს კოლონიურ პოლიტიკას.

კოლონიზატორთა გააფთრებული იერიში გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის შესწორებამ მეორე რეზოლუციის იმ პუნქტისადმი, რომელიც შეეხება იმას, რომ კოლონიზატორმა სახელმწიფოებმა წარმოადგინონ შედარებითი ცნობები კოლონიებისა და მეტროპოლიის ხალხთა ცხოვრების პირობების შესახებ. ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები დაჟინებით იცავდნენ იმას, რომ არ უნდა მოხდეს კოლონიებისა და მეტროპოლიის პირობების ასეთი შედარება. ამასთან ამერიკის დელეგატმა სეირმა სხვა დელეგაციებზე ზეგავლენის მეთოდს მიმართა. მან განაცხადა, რომ თუ მიღებულ არ იქნა მეექვსე პუნქტი იმ რედაქციით, რომელიც სპეციალურმა კომიტეტმა წარმოადგინა, ამერიკის შეერთებული შტატები ხმას მისცემენ მთელი რეზოლუციის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, მეორე რეზოლუციის მეექვსე პუნქტის საბჭოთა შესწორებას მხარი დაუჭირეს ერაყის, ინდოეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა და იგი დამტკიცებულ იქნა კომიტეტის წევრთა ხმის უმრავლესობით.

კოლონიზატორ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განიცადეს მეორე დამარცხება, როცა ისინი გამოვიდნენ იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მესამე რეზოლუციაში და რომელიც კოლონიების მფლობელ ქვეყნებისაგან მოითხოვს არა მარტო სოციალურ-ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ინფორმაციის სავალდებულო წარმოდგენას.

ამ შემთხვევაშიც, კოლონიის მფლობელ სახელმწიფოების დელეგატებმა გაიმეორეს იგივე გაცვეთილი არგუმენტები, ვითომდა საბჭოთა ამ შესწორების მიღება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, არღვევს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და სხვ. მაგრამ ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ ამ დემაგოგიური განცხადებებით კოლონიზატორებს სურდათ დაეფარათ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის კოლონიური ხალხების პოლიტიკური უუფლებობა. ამ გარემოებაზე მიუთითა ბევრმა დელეგაციამ, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, კოლუმბიის, ერაყის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. სსრ კავშირის წარმომადგენელმა შტეინმა უარჰყო კოლონიზატორთა არგუმენტაცია, თითქოს საბჭოთა შესწორება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. მან ანალიზი გაუკეთა წესდების 73-ე მუხლს და დაამტკიცა, რომ ეს მუხლი, რომელიც ვალდებულებებს აკისრებს არათვითმმართველი ტერიტორიების მფლობელ სახელმწიფოებს, მოითხოვს პოლიტიკური ინფორმაციის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ვალდებულებები. „თუ თქვენ, — განაცხადა შტეინმა, — როგორც აქ ამტკიცებდნენ, ასრულებთ 73-ე მუხლის ვალდებულებებს, არ უნდა გეშინოდეთ ინფორმაციის წარმოდგენისა. თუ თქვენ უარს ამბობთ ასეთი ინფორმაციის წარმოდგენაზე, მაშასადამე, თქვენ არ გსურთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაიგოს, რომ თქვენ არ ასრულებთ 73-ე მუხლის ვალდებულებებს.

საბჭოთა შესწორება, რომელიც კოლონიურ სახელმწიფოებს ავალებს პოლიტიკური ინფორმაცია წარუდგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, აგრეთვე მიღებულ იქნა კომიტეტის წევრთა ხმის უმრავლესობით.

დასასრულ, მესამე დამარცხება, რომელიც კოლონიზატორმა სახელმწიფოებმა განიცადეს რეზოლუციის ორი კვირის განხილვის მანძილზე, დაკავშირებულია მათ გამოსვლებთან არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ მთელი წარმოდგენილი ინფორმაციის შესასწავლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ. ამ რეზოლუციის გარშემო შვიდი გამოსვლიდან ხუთი ეკუთვნის კოლონიური სახელმწიფოების— ბელგიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებს. ყველა ისინი, ისევე როგორც თავიანთ წინა გამოსვლებში, იმეორებდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვითომდა არ შეუძლია ჩაერიოს მათ კოლონიურ საქმეებში. მათ ვერ შესძლეს რაიმე არგუმენტების წარმოდგენა ამ საკითხის გამო და მიმართეს დემაგოგიას, თავის თავი გამოჰყავდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წესებისა და პრინციპების „დამცველებად". დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფარისევლურად წამოიძახა: „მე დაშინებული ვარ ზოგიერთი ქვეყნის ცდებით გადააკეთოს წესდება". მაგრამ კოლონიზატორების ამ ფარისევლობამ და დემაგოგიამ შეცდომაში ვერავინ ვერ შეიყვანა.

ხმების უმრავლესობით მეურვეობის კომიტეტმა დაამტკიცა ის რეზოლუციაც, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური კომიტეტის შექმნას არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის შესასწავლად.

პალესტინის საკითხის განხილვა

პალესტინის საკითხის კომიტეტში უკანასკნელ დღეებში დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, ეგვიპტის, პაკისტანის, ჩეხოსლოვაკიის, კოლუმბიის, სალვადორის, შვეციის, გვატემალის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, სირიისა და ირანის დელეგატებმა.

პოლონეთის დელეგატმა გააკრიტიკა ინგლისის მთავრობის პოზიცია როგორც ბუნდოვანი, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მანდატის შეწყვეტა და ბრიტანეთის ჯარების გამოყვანა პალესტინის საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტის წინასწარი პირობაა. პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა ამ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები და განაცხადა, რომ სამწუხაროდ რეალური ვითარება ამჟამად შესაძლებლობას არ იძლევა შეიქმნას პალესტინის ორ ერიანი დემოკრატიული სახელმწიფო. ამიტომ პოლონეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა ყურადღება მიაპყროს სპეციალური კომისიის წევრთა უმრავლესობის რეკომენდაციის განხილვას ორი სახელმწიფოს — არაბეთისა და ებრაელების სახელმწიფოს შექმნის შესახებ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წინადადებას ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიური ურთიერთობის შექმნის შესახებ, ვინაიდან ეკონომიური ერთიანობა და უცხოეთის გავლენის მოსპობა საფუძველი იქნება არაბებისა და ებრაელების მომავალი დაახლოებისათვის, რასაც უნდა მოჰყვეს ორ ერიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

ასეთივე პოზიცია დაიკავა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ. პაკისტანის, ეგვიპტისა და სირიის წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს სპეციალური კომისიის მოხსენება და აზრი გამოსთქვეს პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფის წინააღმდეგ. ისინი მტკიცედ მოითხოვდნენ არაბეთის სახელმწიფოს შექმნას მთელი პალესტინის ტერიტორიაზე. სალვადორის დელეგაციამ წინადადება შეიტანა მიწვეულ იქნან ებრაელთა სააგენტო და უმაღლესი არაბული კომიტეტი, გამოიყოს წარმომადგენლები, რომლებიც შეიკრიბებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით, რათა შეეცადონ გამონახონ საფუძველი საერთო თანხმობისათვის პალესტინის მომავლის შესახებ. შვეციის წარმომადგენელმა აზრი გამოსთქვა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფის და პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციის რეგლამენტირების შემოღების სასარგებლოდ. მან წინადადება წამოაყენა, რომ უშიშროების საბჭოს დაევალოს პასუხისმგებლობა პალესტინის შესახებ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

გვატემალის დელეგატმა, რომელმაც აზრი გამოსთქვა კომისიის წევრთა უმრავლესობის რეკომენდაციის სასარგებლოდ, წინადადება წამოაყენა დამატებით იქნას გათვალისწინებული, რომ პალესტინაში დროებით დაწესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაცია 1949 წლის სექტემბრამდე, ამასთან ამ ადმინისტრაციას უნდა მეთაურობდნენ სამი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც არიან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები. გვატემალის წინადადება აგრეთვე ითვალისწინებს „საერთაშორისო სამხედრო პოლიციის" შექმნას, რომელიც შედგენილი იქნება უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა წარმომადგენლებისაგან, მაგრამ რომელსაც დააფინანსებენ და იარაღს მიაწვდიან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოები.

დღევანდელ სხდომაზე განცხადებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯონსონი. შეეხო რა სპეციალური კომისიის მოხსენებას, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ „უმრავლესობის ერთხმივი რეკომენდაციებისა და წინადადებების ძირითად პრინციპებს, და იმ გეგმას, რომელიც შეეხება გაყოფასა და იმიგრაციას". მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ საჭიროდ მიიჩნია ამ გეგმაში მთელი რიგი შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა, კერძოდ — შესწორება გეოგრაფიული ხასიათისა, მაგალითად, ქალაქი იაფა შეტანილ უნდა იქნას არაბეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მეტად ორაზროვანი პოზიცია დაიკავა ამერიკის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა განხორციელების მეთოდების საკითხში. თავისი სიტყვის დასაწყისში ჯონსონმა განაცხადა, რომ „გენერალურმა ასამბლეამ პასუხისმგებლობა იკისრა ინგლისისათვის რეკომენდაციების მიცემაზე". შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალურ ასამბლეას, როცა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

კომუნისტი

ოთხშაბათი, 15 ოქტომბერი, 1947 წ. № 206

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

(დასასრული)

პალესტინის საკითხი დღის წესრიგში შეიტანა, პასუხისმგებლობა არ უკისრია პალესტინის მართვისათვის გარდამავალ პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია მისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებასთან. ამერიკის დელეგატს ერთი სიტყვაც არ უთქვამს პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის შესახებ. ჯონსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ პალესტინის საკითხის „პრაქტიკულად განსახორციელებელ" პოლიტიკურ მოწესრიგებაში და აზრი გამოსთქვა პალესტინაში „ნებაყოფლობით საფუძველზე" სპეციალური საერთაშორისო პოლიციური ძალების შექმნის სასარგებლოდ.

დასასრულ ჯონსონმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას ქვეკომიტეტი სპეციალური კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი მოხსენების რეკომენდაციებზე დამყარებული პროგრამის „დეტალების შესამუშავებლად".

ჟურნალისტთა წრეებში კომენტარს უკეთებენ ჯონსონის განცხადებას და ვარაუდს გამოსთქვამენ, რომ ამერიკის დელეგაცია ცდილობს პალესტინაში ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც შეერთებული შტატებისათვის იქ უზრუნველყოფილი იქნება ხელმძღვანელი როლი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ნავთის ინტერესების გათვალისწინებით.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა პანდიტმა აზრი გამოსთქვა პალესტინის გაყოფის გეგმის წინააღმდეგ და წინადადება წამოაყენა შეიქმნას არაბეთის სახელმწიფო, რომელშიც ებრაელები ისარგებლებენ ავტონომიის უფლებებით იმ რაიონებში, სადაც მათი უმრავლესობაა.

ჩინეთის დელეგატმა ილაპარაკა „მოლაპარაკებისა და შერიგების განგრძობის" საჭიროებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის კრიტიკით გამოვიდა ელ-ხური (სირია), რომელმაც განაცხადა, რომ პალესტინის პრობლემისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრისას, ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ ეგოისტური პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით და სურვილით განმტკიცდნენ შუა აღმოსავლეთში. ელ-ხურიმ კატეგორიულად უარჰყო რეკომენდაცია პალესტინის გაყოფის შესახებ და ამტკიცებდა არაბთა უფლებას მთელ პალესტინაზე. მან განაცხადა, რომ არაბებს „განზრახვა არა აქვთ კაპიტულაცია მოახდინონ გარეშე ზეგავლენის წინაშე". სირიის დელეგატმა შემდეგ გააკრიტიკა წინადადება პალესტინისათვის საერთაშორისო საპოლიციო ძალების შექმნის შესახებ. დასასრულ მან წინადადება წამოაყენა მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს „პალესტინაზე მანდატის კანონიერების" საკითხის გამოსარკვევად, კერძოდ ებრაელთა ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის პირობათა შესახებ".

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. (საქდესი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ინდონეზიის საკითხის განხილვა, მაგრამ საბჭოს კვლავ არ მიუღია გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის წინადადებაზე, რათა ორივე მხარის ჯარები დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნან იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ საომარი მოქმედების დაწყებამდე ეკავათ.

ინგლისის წარმომადგენელი ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელთა მხარდაჭერით წარმოადგინა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ინდონეზიაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს წინანდელი გადაწყვეტილების განხორციელების პირველ ლონისძიებას წარმოადგენს სადემარკაციო ხაზის დაწესება. რეზოლუცია წინადადებას იძლევა, რათა სამი სახელმწიფოს კომისიამ, რომელიც ამჟამად ავსტრალიისაკენ მიემგზავრება, თავის პირველ მიზნად დაისახოს სადემარკაციო ხაზის დაწესება და რომ კონსულთა კომისიამ ბატავიაში წარადგინოს რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ სად უნდა გაიაროს ასეთმა ხაზმა.

საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებმა, ისევე როგორც ჰოლანდიის წარმომადგენელმა, დაუყოვნებლივ დაუჭირეს მხარი ინგლისის რეზოლუციას.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰოჯსონმა შეიტანა წინადადება, რათა ორივე მხარემ 5 კილომეტრით დაიხიოს უკან იმ ხაზიდან, რომელიც მათ 1 აგვისტოს ეკავათ, როცა უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. თუმცა, ამრიგად, ავსტრალიის წინადადება ნებას მისცემდა ჰოლანდიელებს შეენარჩუნებინათ დაკავებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჰოლანდიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციებმა გაილაშქრეს ავსტრალიის რეზოლუციის წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ ძნელია იმ ხაზის განსაზღვრა, რომელიც პირველ აგვისტოს გადიოდა.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხიმ უარჰყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ოსტინის მიერ წინა სხდომაზე წამოყენებული არგუმენტი, რომ საბჭოთა წინადადების მიღებას შეუძლია ზიანი მიაყენოს ჰოლანდიის მთავრობის „უფლებებს". კაც-სუხიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოსტინმა არასწორად განმარტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და დაიმოწმა ჰონდურასისა და ნიკარაგუას 1918 წლის დავა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ჰონდურასს წინასწარ გაეყვანა ჯარები, რაც იქნებოდა შეერთებული შტატების მიერ თავისი „კეთილი სამსახურის გაწევის" პირობა. კაც-სუხიმ აგრეთვე მიუთითა ამერიკის შეერთებული შტატების დაბჯერებით ამას წინათ მიღებული „თავდაცვის" საპანამერიკო საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ასეთი დავის შემთხვევაში ჯარები უნდა გაიყვანონ და რომ გასვლაზე უარის თქმა განხილულ უნდა იქნას, როგორც აგრესიული ზრახვების ნიშანი.

ინდონეზიის საკითხის განხილვა 14 ოქტომბრამდე გაგრძელდება უშიშროების საბჭოში. ორი უკანასკნელი სხდომის კამათმა ცხადჰყო, რომ სამი სახელმწიფოდან, რომლებმაც თავიანთი წარმომადგენლები დანიშნეს საშუამავლო კომისიაში, შეერთებული შტატები და ბელგია ჯარების გაყვანის წინააღმდეგი არიან, მაშინ როცა ავსტრალია მხარს უჭერს ჯარების შეზღუდული გაყვანის წინადადებას, რაც ხელსაყრელია ჰოლანდიისათვის.

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკე

ბელგრადი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნებულია იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკე ჩილისთან იუგოსლავიის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია: „ჩილის რესპუბლიკის მთავრობამ უხეშად დაარღვია საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტარული პრინციპები და 1947 წლის 8 ოქტომბერს ჩილის ტერიტორიიდან განდევნა სანტ-იაგოში იუგოსლავიის სახელჩოს მოსამსახურე ანდრია ცუნია და ბუენოს-აირესში იუგოსლავიის საელჩოს მდივანი დალიბერ იაკშა. თავისი მოქმედების გასამართლებლად ჩილის მთავრობამ მოიყვანა სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზები და ფანტასტიკური ცილისწამება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. ვინაიდან იუგოსლავიის მთავრობას არავითარი საბაბი არ მიუცია ჩილის მთავრობის მხრივ ასეთი საქციელისათვის, ცხადი ხდება, რომ ყოველივე ეს არის იმ წინასწარგანზრახული კამპანიის შედეგი, რასაც ჩილისა და ჩილელი ხალხის ინტერესებით კი არა, არამედ იმ ექსპანსიონისტური ტენდენციების მქონე განსაზღვრული ძალების ინტერესებით ეწევიან, რომლებიც სულ უფრო ერევიან ჩილის შინაურ საქმეებსა და საგარეო პოლიტიკაში. ჩილის მთავრობის ეს ნაბიჯი გადადგმულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მწვავე და ცილისმწამებლური გამოხდომების პერიოდში, რისი ინიციატორებიც არიან იგივე ძალები, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ მეგობრული თანამშრომლობა ხალხთა შორის და ამ მიზნით იყენებენ ჩილის მთავრობას.

ასეთი საქციელი ნათლად მოწმობს, რომ აქ საქმე ეხება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისადმი ჩილის მთავრობის მტრულ დამოკიდებულებას.

ამიტომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც მიაჩნია, რომ შემდგომში საჭირო აღარ არის ისეთ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება, რომელიც დამოუკიდებლად არ განსაზღვრავს თავის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან, გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს ჩილის რესპუბლიკის მთავრობასთან".

პრეს-კონფერენცია იუგოსლავიის ინფორმაციის დირექციაში

ბელგრადი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ბადნევიჩმა პრეს-კონფერენციაზე ინფორმაციის დირექციაში გააკეთა განცხადება ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების გამომმუშავებელი კომისიის მუშაობის შესახებ. ბადნევიჩმა აღნიშნა, რომ კომისიამ უარჰყო იუგოსლავიის მთავრობის თხოვნა მოესმინა იუგოსლავიის წარმომადგენლისათვის, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავიას აქვს ყოველგვარი საფუძველი კომისიის წინაშე გამოსთქვას და დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი. ასეთი გამოსვლა განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, — სთქვა მან, — რომ ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა კომისიაში გაილაშქრეს ავსტრიისადმი იუგოსლავიის მოთხოვნების წინააღმდეგ და მხედველობაში არ მიიღეს მისი არგუმენტები. შემდეგ ბადნევიჩმა მოიყვანა საბუთები იუგოსლავიასთან სლოვენიის კარინტიის შეერთების შესახებ იუგოსლავიის მოთხოვნების დასაცავად. სლოვენიის კარინტია არა თუ სლოვენიის მიწა იყო, არამედ იგი სლოვენიის სახელმწიფოს აკვანია, ხოლო სლოვენიის კარინტიის ის ნაწილი, რომლის შეერთებასაც იუგოსლავია მოითხოვს, ჯერ კიდევ წარსული საუკუნის შუა წლებში მჭიდროდ იყო დასახლებული სლოვენებით. შემდეგ ბადნევიჩმა აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კარინტიელ სლოვენთა შორის ეწევიან ძალად გაგერმანელების პოლიტიკას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ კარინტიელი სლოვენები განუწყვეტელ და შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან თავიანთ ეროვნულ უფლებათა განსახორციელებლად. მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი ხასიათით ღრმა დემოკრატიული და სამართლიანია და იგი განსაკუთრებული სიცხადით გამოიხატა ნაციზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებით.

„კარინტიელი სლოვენების პოლიტიკურ დამონებასა და გაგერმანელებას, — სთქვა ბადნევიჩმა, — დღემდე ეწევიან. ამას მოწმობს მრავალი ფაქტი, მაგალითად, სლოვენური ორგანიზაციების სისტემატური აკრძალვა, განმათავისუფლებელი ფრონტის უგულებელყოფა, ავსტრიელი მოსამართლეების მიერ აშკარა ფაშისტების, კარინტიელ სლოვენთა ჯალათების დაცვა".

ბადნევიჩი კარინტიელი სლოვენების გაგერმანელების პოლიტიკას ახასიათებს როგორც მთელი სლოვენი ხალხის გაგერმანელების საერთო პოლიტიკის ნაწილს. „კარინტიელი სლოვენების დატოვება ავსტრიის ხელისუფალთა მონობაში, — სთქვა მან, — ნიშნავს ავსტრიის რეაქციული ხროვის გერმანიზატორული და შოვინისტური მადის გახელებას და მშვიდობისათვის მუდმივი საფრთხის კერის შენარჩუნებას".

თავის განცხადებაში ბადნევიჩი ამჟღავნებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკას, რომლის მიზანია ავსტრიაში შექმნას ბაზა მათი იმპერიალისტური გეგმების განსახორციელებლად. მათ სურთ, — განაცხადა ბადნევიჩმა, — რომ ავსტრია ყალიბდებოდეს არა როგორც დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც უნარი ექნება მეგობრულად იცხოვროს იუგოსლავიასა და სხვა მეზობლებთან, არამედ როგორც პლაცდარმი იმპერიალისტური ექსპანსიისათვის მიმართული სახელმწიფოებისა და პირველ რიგში იუგოსლავიის წინააღმდეგ.

გიორგი დიმიტროვის პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს

სოფია, 13 ოქტომბერი. (საქდესი). ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. დიმიტროვმა პასუხი გასცა იუნაიტედ პრესის სააგენტოს სოფიელი კორესპონდენტის კითხვებზე ნიკოლა პეტკოვის პროცესის შესახებ.

კორესპონდენტის კითხვაზე პასუხის გაცემისას დიმიტროვმა გააბათილა დასავლეთის ზოგიერთი წრეების მტკიცება, თითქოს პეტკოვი იმიტომ დასაჯეს, რომ იგი ბულგარეთის ოპოზიციის ლიდერი იყო.

პეტკოვს, სთქვა დიმიტროვმა, სიკვდილი მიესაჯა არა მისი პოლიტიკური რწმენის მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ იგი პოლკოვნიკებს მარკო ივანოვსა და ბორის გერგოვს აქეზებდა შეექმნათ ფაშისტური იდეოლოგიით გამსჭვალული სამხედრო არალეგალური ორგანიზაცია —„სამხედრო კავშირი", რომლის მიზანიც იყო ჩვენს ქვეყანაში კანონიერად დამყარებული რეჟიმის დამხობა სამხედრო პუტჩის საშუალებით. პეტკოვს უფრო მძიმე განაჩენი არ გამოუტანეს კიდევ იმიტომ, რომ იგი თავის მომხრეებს აქეზებდა ჩაედინათ ტერორისტული აქტები, ძირი გამოეთხარათ ბულგარეთში დამყარებული ხელისუფლებისათვის, და იმიტომ, რომ იგი თავის გაზეთში აქვეყნებდა სტატიებს, რომელთა მიზანიც იყო ბულგარეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის შესუსტება, არმიაში დისციპლინის დარღვევა და მის რიგებში არევდარევის შეტანა. პეტკოვი თავის პოლიტიკურ მეგობრებთან ერთად ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც, როგორც ისინი ვარაუდობდნენ, უნდა მომხდარიყო ბულგარეთში ინგლის-ამერიკის ევენტუალური და უშუალო ინტერვენციის მომენტში, რომელსაც იგი მოელოდა, ანდა საბჭოთა ჯარების მიერ ბულგარეთის ტერიტორიის ევაკუაციის შემდეგ.

შემდეგ გ. მ. დიმიტროვმა ცხადჰყო იმ განცხადებების სრული უსაფუძვლობა, თითქოს პეტკოვის საქმეში დაცული არ იყო ნორმალური სასამართლო პროცედურა.

გ. მ. დიმიტროვი შეეხო იმ დემარშებს, რომლებიც საზღვარგარეთ მოაწყეს პეტკოვის დასაცავად, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ დემარშებს ორნაირი ხასიათი აქვს. ზოგი დემარში გამომდინარეობს კეთილსინდისიერ, მაგრამ ცუდად ინფორმირებულ ადამიანთაგან, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა იმ ცრუ და ცილისმწამებლური ცნობების მთელმა ხიდვარმა, რასაც ყველგან ავრცელებს რეაქციული პრესა პროცესთან დაკავშირებით.

პეტკოვის დასაცავად მეორენაირი დემარშები გამომდინარეობს რეაქციული ჯგუფებიდან — ახალი დემოკრატიული ბულგარეთისა და ყოველივე პროგრესულის დაუძინებელ მტერთაგან. ამ ადამიანებს აინტერესებთ არა იმდენად პეტკოვის ბედი, რამდენადაც იმის შესაძლებლობა, რომ მისი პროცესი გამოიყენონ როგორც საბაბი ახალი ცილისმწამებლური და ბოროტი კამპანიისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახალხო დემოკრატიის წინააღმდეგ, ისევე როგორც საკუთარი ქვეყნის კომუნისტების წინააღმდეგ. მთელი მსოფლიოს რეაქციონერები ეშურებოდნენ დაეცვათ ნიკოლა პეტკოვი.

ხოლო ამავე დროს, სთქვა დიმიტროვმა, აი რა დასწერა თვითონ პეტკოვმა თავის წერილში განაჩენის გამოტანის შემდეგ:

„მე ვფიქრობ, რომ ჩემი საქმიანობა ორი წლის განმავლობაში სავსებით მცდარი იყო, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ გამბედაობა და ჩემი საქმიანობისადმი რწმენა ვპოვე იმ მოლაპარაკებაში, რომელიც მქონდა იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ბარნსთან და ჰოსუელთან. ეს ჩემი საქმიანობა, კერძოდ, ემსახურებოდა როგორც გარეშე, ისე შინაგან რეაქციას. შინაგანი რეაქცია, რომელსაც აშკარა ბრძოლისათვის გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ჩემს საქმიანობას ეფარებოდა.

ამ საქმიანობას მხარს უჭერდნენ და სავსებით იწონებდნენ შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: ნიკოლა მუშანოვის დემოკრატიული პარტია და ატანას ბუროვის სახალხო პარტია. ეს საქმიანობა სწორმოებდა სოციალ-დემოკრატებთან და მათ მდივან კოსტა ლულჩევთან ერთად, რომელთანაც ერთად ჩვენ ძალ-ვუყენებთ ერთიანი ოპოზიცია. საერთაშორისო იმპერიალისტურმა რეაქციამ ჩემი საქმიანობა გამოიყენა ბულგარეთის ინტერესებისა და მისი მფარველის—სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

და ამგვარ საქმიანობაშიც მე ვიმყოფებოდი საერთაშორისო რეაქციის ჩვენში მყოფ პოლიტიკურ წარმომადგენელთა გავლენის ქვეშ".

პეტკოვის წერილი, აღნიშნა დიმიტროვმა, ბევრ სხვა საინტერესო აღიარებასაც შეიცავს.

ყოველივე ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, თუ რატომ ასტეხეს ასეთი ღრიანცელი პეტკოვის დასჯის წინააღმდეგ უცხოეთის ზოგიერთმა წრეებმა, რომლებიც არ შეიძლება არ გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას პეტკოვის შეთქმულებითი საქმიანობისათვის. ამ ადამიანების სინდისი წმინდა არ არის, და ამჟამად ისინი თავს მოვალედ სთვლიან დაიცვან, ყოველგვარი ობიექტური მონაცემის საწინააღმდეგოდ, თავიანთი პროტეჟე—ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ მათი მტრული პოლიტიკის გამტარებელი.

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემისას გ. მ. დიმიტროვმა გააბათილა რეაქციული პრესის მიერ საზღვარგარეთ გავრცელებული მტკიცებანი, თითქოს პეტკოვის პროცესი და მისთვის გამოტანილი განაჩენი ეწინააღმდეგებოდეს საზავო ხელშეკრულების მეორე მუხლს.

აბსურდი იქნებოდა მიგვეჩნია, სთქვა დიმიტროვმა, რომ საზავო ხელშეკრულების მეორე მუხლი მიზნად ისახავს სამხედრო პუტჩების მოწყობისა და ტერორისტული საქმიანობის თავისუფლების გარანტირებას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვცნოთ ასეთი „თავისუფლება". მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმავე საზავო ხელშეკრულების მეთხე მუხლი გარკვევით ავალებს ბულგარეთის მთავრობას არ დაუშვას ისეთი ორგანიზაციების არსებობა და საქმიანობა, რომელთა მიზანიც არის ხალხისათვის დემოკრატიული უფლებების წართმევა. სწორედ ასეთი ორგანიზაცია იყო პეტკოვის მიწათმოქმედთა კავშირი.

შემდეგ გ. მ. დიმიტროვმა აღნიშნა, რომ პეტკოვის ორგანიზაცია დაშლილ იქნა დანაშაულებრივ, შეთქმულებითი საქმიანობასთან კავშირისათვის. ამჟამად პეტკოვის ყოფილი მომხრენი სრული პოლიტიკური და იდეოლოგიური დაბნეულობის მდგომარეობაში არიან. იმათი უმრავლესობა, ვინც საყოველთაო არჩევნების დროს ხმა მისცა მას, ზიზღით უცქერის იმ სიბინძურეს, რომელშიც ისინი პეტკოვმა ჩაითრია, და უარჰყოფს მას.

მაგალითისათვის გ. მ. დიმიტროვმა მოიყვანა პეტკოვის უახლოესი მომხრეების — მიწათმოქმედთა კავშირის ყოფილი მდივნის დ. სტოიანოვის, მიწათმოქმედთა კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციის ყოფილი მდივნის სირბინსკის, დეპუტატ კოევის განცხადებანი, რომლებმაც ამჟამად დაჰგმეს პეტკოვის პოლიტიკა, როგორც გამცემლური და ხალხისადმი მტრული.

რაც შეეხება საერთოდ ოპოზიციას, განაგრძო დიმიტროვმა, ჩვენ სრულებითაც არა ვართ მისი არსებობისა და საქმიანობის წინააღმდეგი, თუ იგი არ სცილდება კანონებით აღიარებული საქმიანობის ფარგლებს, და თუ იგი ბულგარეთის ოპოზიციაა და არა უცხოეთის აგენტურა.

შემდეგ დიმიტროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარელი ხალხის უდიდესმა უმრავლესობამ მოიწონა პეტკოვისათვის გამოტანილი განაჩენი და მისი სისრულეში მოყვანა.

ბულგარეთის მთავრობისათვის და პირადად ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს და არა საზღვარგარეთ ატეხილ ცილისმწამებლურ, ბოროტ კამპანიას, რომელიც აშკარად ასახავს იმპერიალისტური წრეების აგრესიულ განზრახვებს იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იბრძოდა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და თავისი სახალხო, სუვერენული და ნაციონალური დემოკრატიის საბოლოო კონსოლიდაციისათვის.

მუნიციპალური არჩევნების წინასწარი შედეგები რომში

პარიზი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო რომიდან გადმოგვცემს კენჭისყრის წინასწარ შედეგებს, რომლებიც შეეხებიან 1223 სექციიდან 907 საარჩევნო სექციას: სახალხო ბლოკს (კომუნისტური პარტია, სოციალისტური პარტია, „მოქმედების პარტია" და პარტია „შრომის დემოკრატია") უკავია პირველი ადგილი — 102.609 ხმა; მის შემდეგ მოდის ქრისტიან დემოკრატთა პარტია — 102.082 ხმა, პარტია „უომო კუალუნკუე" — 33.422 ხმა, რესპუბლიკური პარტია — 18.448 ხმა, მონარქისტული პარტია — 16.826 ხმა, „ეროვნული სოციალური მოძრაობა" (ნეოფაშისტური ორგანიზაცია) — 12.721 ხმა, სარაგატის პარტია — 12.274 ხმა.

პალესტინიდან ინგლისის ჯარების გამოყვანის შესახებ

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ბრაზავილის რადიო გადმოგვცემს, ინგლისის კოლონიების სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ, თუმცა ინგლისმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში განაცხადა პალესტინიდან თავისი ჯარების გამოყვანის განზრახვის შესახებ, მაგრამ ევაკუაციის არავითარი შემუშავებული პროექტი არ არსებობს. ამჟამად სწავლობენ მხოლოდ ჯარების გამოყვანის პრინციპს.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის უნგრეთის საზოგადოების დელეგაცია თბილისში

14 ოქტომბერს სტალინგრადიდან თბილისს ჩამოვიდა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის უნგრეთის საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების თავმჯდომარის, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორ იშტვან რუსნიაკის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: განათლების მინისტრი პროფესორი დიულა ორტუტაი, მშენებლობისა და შრომის მინისტრი იოჟეფ დარვაში, პეჩის უნივერსიტეტის დირექტორი პროფესორი იშტვან ბოროში, უნგრეთის ოპერის დირექტორი ალადარ ტოტი, ბუდაპეშტის მთავარი არქიტექტორი იოჟეფ ფიშერი და ცნობილი მოქანდაკე ... დი-მეტროვილი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ნ. მიქავა, საქართველოს სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ... თქიფანიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე და პრესის წარმომადგენლები.

14 ოქტომბერს საღამოს დელეგაცია ბათუმს გაემგზავრა. (საქდესი).

სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური დათვალიერება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავისათვის ქალაქ თბილისში ეწყობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რესპუბლიკური დათვალიერება.

საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების სახლი გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს თავისი მუზეუმის ექსპონატებით და ხალხური ოსტატების ახალი ნამუშევრებით. სულ გადარჩეულია ასამდე ექსპონატი.

ექსპონატებს შორის მხატვრულ ნაქარგთაგან ყურადღებას იპყრობს ე. სულხანიშვილის მიერ შესრულებული ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ლ. რამიშვილის მიერ იშვიათი ოსტატობით ამოქარგული სტალინის პორტრეტი, ო. არლუთინსკაიას — ლ. პ. ბერიას პორტრეტი. ამბროლაურის რაიონიდან კოლმეურნე ქალმა ე. კოკვიძემ გამოგზავნა შესანიშნავი ფერებით შესრულებული „რაჭული პეიზაჟი" და ილუსტრაციები დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებისათვის „შვლის ნუკრის ნაამბობი".

მხატვრულ ნაქსოვთაგან აღსანიშნავია დ. მამადაშვილის ქისა და ხურჯინი, ქ. მოისწრაფიშვილის სარტყელი. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს გ. მაიუკოვის მიერ ძვლისა და სადაფისაგან გაკეთებული მათრახი, უნაგირი და სხვა.

ფილიგრამისა და სევადის განყოფილებაში ყველას სჯობია ა. ჯიქიას ნახელავი ვერცხლის სათუთუნე, თ. ჯიქიას და ვ. ლეკიშვილის აკაკი წერეთლის პორტრეტი.

გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილია კვერია. კვერის ერთ-ერთმა ძველმა ოსტატმა, თბილისელმა გ. დასამიშვილმა გამოგზავნა ორი ექსპონატი — ქართული ორნამენტით შემკობილი ვერცხლის ვაზა და ქოქოსის ჯამი, რომელზეც ამოკვეთილია ლამაზი ტყის ... და მონადირეები ქართულ ეროვნულ სამოსელში. თბილისელმა დიასახლისმა ... რიკოვამ ფერადი მძივებით ამოქარგა ... გორში, რომელშიც დაიბადა და ბავშვობა ... ტარა დიდმა სტალინმა. ექსპონატებს ამშვენებს აგრეთვე სახვითი ხელოვნების სასწავლო კომბინატი. აღსანიშნავია ნახევარი მეტრის სიმაღლის ვერცხლის დეკორაციული დოქი, ბროლით მორთული ამხანაგ სტალინის პორტრეტის ჩარჩო. მზადდება აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ დ. ... შვილის ესკიზით დიდი მხატვრული ... თემაზე: „გამარჯვების დროშის აღმართვა რეიხსტაგზე".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ... ამოწვის, ფილიგრამისა და კერამიკის ნიმუშები, ხოლო ის ნამუშევრები, რომლებიც მიიღებენ საუკეთესო შეფასებას, გაიგზავნება მოსკოვში სსრ კავშირის სახვითი ხელოვნების საკავშირო გამოფენაზე.

უნივერსიტეტის ლექტორიუმის საჯარო მოხსენებები

„ფილოსოფიური დისკუსიის შედეგები". მოხსენებას წაიკითხავს პროფესორი **კ. ბაქრაძე** 17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„საბჭოთა დემოკრატია უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა". მოხსენებას წაიკითხავს პროფესორი **ი. ტალახაძე** 21 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„ქართული ისტორიული აზროვნება მე-18 საუკუნეში (ვახუშტი ბაგრატიონი)". მომხსენებელი დოცენტი **ბ. გაბაშვილი.** მოხსენება შესდგება 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„დიდი ქართველი ფილოლოგოსი ნიკო მარი". მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ა. შანიძე** 24 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„ლომონოსოვის როლი ქიმიური მეცნიერების განვითარებაში". მოხსენებას წაიკითხავს პროფესორი **შ. ბეჟაია,** 25 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი და საბჭოთა მათემატიკა". მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ი. ვეკუა,** — 29 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

„შოთა რუსთაველი და ქართველი კულტურა". მომხსენებელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **ა. ბარამიძე** — 31 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, № 86 აუდიტორიაში.

დასწრება თავისუფალია.

ახალი ბროშურა

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა გამოსცა **ვ. ხატიაშვილის** ბროშურა „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მორიგი ამოცანები". წიგნის რედაქტორია **ვ. ჯიბლაძე.**

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

15 ოქტომბერს

რადიოსადგურებით 1154 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — ნაწყვეტები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.20 — კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მ. კამოევას შესრულებით. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, საუბარი ციკლიდან: „მათ შეასრულეს წლიური გეგმა". 19.15 — საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ბორჩხაძე, სოლისტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრიგორაშვილი. 20.30 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 21.05 მ. ლერმონტოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა. 23.00 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის ხალხური სიმღერების ანსამბლის შესრულებით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში ... დგება ამხ. **ესაიაშვილის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები".**

15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის შენობაში (ჩიტაძის ქ. № 6) ეკონომიურ მეცნიერებათა კათედრის ღია სხდომაზე დოცენტი **ა. ნუცუბიძე** წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„სინამდვილე კაპიტალისტური „გეგმიანობის" შესახებ".**

18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, სომხური დრამის თეატრში (შაუმიანის ქ. № 8) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიონული XXIV კონფერენცია.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

15 ოქტომბერს: **ფალიაშვილის სახელობის** — „შოთა რუსთაველი"; **რუსთაველის სახელობის** — „ღრმა ფესვები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მასკარადი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „რუსეთის საკითხი"; **სომხური** — „სოსი და ვარდითერი"; **მუსიკალური კომედიის** — „მზის დაბნელება".

კ ი ნ ო ე ბ შ ი

15 ოქტომბერს: **რუსთაველის სახელობის,** „ოქტომბერი" და **„ამირანი"** (საზაფხულო და ზამთრის) — „მხევრავის გმირობა"; „კავშირელი" (საზაფხულო) — „სიმღერა ... სეთზე"; **„სპარტაკი"** — „ნუ დამივიწყებ"; **26 კომისრის სახელობის** (ზამთრის) — „... რავის გმირობა".

მშობლები კატო, ლევან, ბებია შუშანა, ბაბუა ალფეს, ბიძა ავთანდილ იუწყებიან **დათუნა კუტალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-X, 7 ს. გამოსვენება 16-X, 4½ ს. ლეჩხუმის, 24.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ქრისტინე ლავრენტის ასულ ფეტელავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 16-X, 5 ს. კლარა ცეტკინის, 60.

ა. ქუთელია, ო. ეგაძე და ა. გოგუაძე იუწყებიან მამია ღუდუჩავას მამის **იოსების** გარდაცვალებას.

რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს I თერაპიული განყოფილების და კარდიოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **იოსებ მათიშვილის** გარდაცვალებას.

მთავარი საფოსტო სამმართველოს ცენტრალური საფოსტო საწყობის და თბილისის ფოსტის თანამშრომლები იუწყებიან **ბაბულია ყრუაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-X, 7 ს. გამოსვენება 16-X, 5 ს. საბჭოს, 7.

მეუღლე ზაქარია, შვილები ვალერიან, ... ტორ, მაყვალა ოჯახებით იუწყებიან **პელაგია ესტატეს ასულ ლაშაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-X, 5 ს. წყლიანში (... თის რ.).

მშობლები ალექსანდრე, მარო, და ... ბებია ევა, დეიდა ელენე იუწყებიან **... პანკიევის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-X, 7 ს. გამოსვენება 16-X, 5 ს. ... რიშვილის, 25.

მშობლები ევა, იასონ, დები ლილი, ... იუწყებიან **ვახტანგ ვვალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-X ოკაჯახოვში.

ძმა ვასასი, ძმა მალხაზ, და თინა, ბიძა ... ლოვან ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ სესიძე მეგრელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-X მახარაძეში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და მეცნიერო სამსახურენი იუწყებიან მეცნიერების დოქტორის პროფესორ **მიხეილ გორგაძე ტყავაძის** გარდაცვალებას.

შვილები საშა, ივანე, დები მარიამ და ... ფიო, ძმა იოსებ ოჯახებით იუწყებიან ... **რია ანდრიას ასულ ნიკობაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-X ხაზურში.

17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ **ნ. ა. ყიფშიძის** ლექციას თემაზე: **„მედიცინის ახალი მიღწევები შინაგან სნეულებათა მკურნალობაში".**

ლექციის მოკლე შინაარსი: ანტიბიოტიკები, მათი აღმოჩენის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მოქმედების მექანიზმი და გამოყენება შინაგან სნეულებათა მკურნალობაში. პენიცილინი, გრამიციდინი, სტრეპტოტრიცინი, სტრეპტომიცინი, სულფამიდური პრეპარატები, მათი მოქმედება და გვერდითი მოვლენები. სულფიდინი, სულფატიაზოლი, სულფაზოლი, სულფადიაზინი, დისულფანი. ანტიბიოტიკებისა და სულფამიდური პრეპარატების აღმოჩენისა და შესწავლის პერსპექტივები.

ლექციის შემდეგ კინო.

ბილეთები იყიდება: მასწავლებლის სახლის სალაროში საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე და „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში რუსთაველის პრ. № 23 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე: კოლექტიური დაკვეთები ტელეფონით: 3—55—22.

ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ა. ცერცვაძე თემაზე: **„Культура некоторых сортов винограда на собственных корнях"**.

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. ალექსიძე,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. ჩახნაშვილი.**

ლ. გრიგენიკოვა თემაზე: **„Нут Азербайджана и основные приемы возделывания его на светлокаштановых почвах".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ლ. დეკაპრელევიჩი,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. აბესაძე.**

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგის და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 12663